



გლობალური ინდექსები - გლობალური სამყაროს საზომები

მაია ბლიაძე


ინდექსი სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი მაჩვენებელია, რომელიც კავშირს, ინდიკატორების კომბინაციას აღნიშნავს და ამავე დროს განსაზღვრული ჰიპოთეზის შემოწმებისა და დასაბუთების საშუალებაა. ინდექსის მეშვეობით დგინდება დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობა სკალაზე. იგი რაღაც რიცხვია და არ შეიცავს საკვლევი ობიექტის თვისებრივ განსაზღვრებებს, ანუ თვისებრივად ვერ ახასიათებს შესასწავლ ობიექტს. ინდექსი მხოლოდ გარკვეულწილად იძლევა თვისებრივი მახასიათებლის რაოდენობრივ განსაზღვრულობაზე დაყვანის საშუალებას და ხასიათდება ტერმინებით: მეტი, ნაკლები, უფრო ძლიერი, უფრო სუსტი.

გლობალურ ინდექსებს ქმნიან მკვლევარები და საკვლევი ცენტრები, რათა ერთმანეთს შეადარონ მსოფლიოს ქვეყნები განსაზღვრული ნიშნების: ეკონომიკის განვითარების ხარისხის, კონკურენტუნარიანობის დონის, კეთილდღეობის მიხედვით და სხვ.

გლობალური სამყაროს გასაზომი გლობალური ინდექსები სხვადასხვაგვარია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

გლობალიზაციის KOF ინდექსი ამა თუ იმ ქვეყნის მსოფლიო სივრცეში ინტეგრირების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება. ეს აგრეგირებული მაჩვენებელია და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო ამ სამი ინდექსის შეწონის შედეგად ერთიანი გლობალიზაციის ინდექსს ანგარიშობენ. ერთიან KOF ინდექსში ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს აქვს 36%-ული წილი, სოციალური გლობალიზაციისას – 37%-ული, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს – 26%-ული.

მსოფლიოს ქვეყნები გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით



მშვიდობის გლობალური ინდექსი ორგანიზებულია ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის მიერ და ქ. სიდნეის უნივერსიტეტის მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევითი ცენტრის მონაწილეობით. ეს ინდექსი ერებისა და რეგიონების მშვიდობისმოყვარეობის აღწერა-გაზომვის ერთგვარი მცდელობაა. ამ ინდექსის მიხედვით ქვეყნების სია პირველად 2007 წელს გამოქვეყნდა. განხილულ ფაქტორებში გათვალისწინებულია შიდა და გარე კონფლიქტები (5 ინდიკატორი: შიდა და გარე კონფლიქტების რიცხვი, გარე კონფლიქტების დროს გარდაცვლილთა რიცხვი, შიდა კონფლიქტების დროს გარდაცვლილთა რიცხვი, შიდა კონფლიქტების დონე, ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან), ქვეყნის შიდა უსაფრთხოება (10 ინდიკატორი: სხვა ქვეყნის მოქალაქეებისადმი უნდობლობა, ლტოლვილთა რიცხვი, პოლიტიკური არასტაბილურობა, ადამიანის უფლებების დაცვის დონე, ტერორისტული აქტების მოწყობის პოტენციალი, მკვლელობათა რიცხვი, ძალადობრივი დანაშაულის დონე, მასობრივი დემონსტრაციების ალბათობა, მსჯავრდადებულთა რიცხვი, პოლიციისა და უსაფრთხოების დაცვის პირთა რაოდენობა), მილიტარიზაცია (8 ინდიკატორი: სამხედრო დანახარჯი - % მშპ-დან, თავდაცვის ჯარებში მომუშავეთა რაოდენობა, სამხედრო ტექნიკის იმპორტი და ექსპორტი, გაეროს მშვიდობისმოყვარე ძალების მხარდაჭერა, მძიმე ტექნიკის რაოდენობა, სასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა, სამხედრო შესაძლებლობები და სირთულეები).



მსოფლიოს ქვეყნები მშვიდობის გლობალური ინდექსის მიხედვით (მწვანედ დაფერილია ყველაზე მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, შავად კი - ნაკლებად მშვიდობისმოყვარე)



ადამიანის (ჰუმანური, საზოგადოებრივი) განვითარების ინდექსი (ინგ. Human Development Index - HDI) მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის წარმოადგენს მისი განვითარების ინდიკატორს და მოიცავს ამ განვითარების ისეთ საზომებს, როგორებიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა; განათლების დონე და მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ადამიანის განვითარების ინდექსი გაეროს მიერ ადამიანური განვითარების განსაზღვრის სტანდარტულ საშუალებადაა მიჩნეული. ინდექსი 0-დან 1-მდე იცვლება. ადამიანის განვითარების ინდექსი ადგენს კრიტერიუმებს და გვიჩვენებს, ამ კრიტერიუმების მიხედვით რა საფეხურზეა ესა თუ ის სახელმწიფო.

ადამიანის განვითარების ინდექსის მთავარი დანიშნულებაა, განსაზღვროს ქვეყნის ადამიანური განვითარების დონე, რომელიც იმავდროულად განსაზღვრავს ქვეყანათა ჯგუფს, რომელსაც ეს ქვეყანა განეკუთვნება – განვითარებულს, განვითარებადს თუ დაბალგანვითარებულს. საზოგადოდ, „ჰუმანური განვითარება“ - ეს არის კონცეფცია „გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის“ (UNDP) მიხედვით და ეხება ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის პროცესს, შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, განათლების მისაღებად უკეთესი პირობების შექმნას, ჯანდაცვას და ა. შ. საინტერესოა, რომ ეს ინდექსი 1980 წელს შეიმუშავეს პაკისტანელმა ეკონომისტმა მაჰმუბ ელ ჰაქმა და ინგლისელმა სერ რიჩარდ ჯოლიმ. მას შემდეგ „გაეროს განვითარების პროგრამა“ თავის ყოველწლიურ „ადამიანური განვითარების ანგარიშში“ ამ ინდექსს იყენებს.

ადამიანის განვითარების ინდექსი მსოფლიოს ქვეყნებში




მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის ინდექსი ხუთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს ეყრდნობა: საარჩევნო პროცესსა და პლურალიზმს, სამოქალაქო უფლებებს, მთავრობის ფუნქციონირებას, პოლიტიკურ აქტივობასა და პოლიტიკურ კულტურას. ქვეყნები დაჯგუფებულია დემოკრატიის

ტიპების მიხედვით: სრული დემოკრატია, არასრული დემოკრატია, ჰიბრიდული ანუ გარდამავალი რეჟიმი და ავტორიტარული რეჟიმი.

ბრიტანული ჟურნალის "ეკონომისტის" კვლევითი ჯგუფის, The Economist Intelligence Unit-ის მონაცემებით, მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის ინდექსის 2010 წლის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო 103-ე ადგილზეა.

მსოფლიოში სახელმწიფოთა თითქმის ნახევარი დემოკრატიული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა მცირეა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც სრული დემოკრატიაა. ასეთი მსოფლიოში მხოლოდ 26 ქვეყანაა. 56 ქვეყანაში არასრული დემოკრატიაა. დანარჩენი 88 ქვეყნიდან 55-ში ავტორიტარული რეჟიმია, 33-ში კი გარდამავალი ანუ ჰიბრიდული. მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 12% ცხოვრობს სრული დემოკრატიის პირობებში, მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი კი - ავტორიტარულ ქვეყნებში.

მსოფლიოს ქვეყნები დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, 2012 წ.



სრული დემოკრატია

9-10

8-8,9

არასრული დემოკრატია

7-7,9

6-6,9

მონაცემები არ არის

გარდამავალი რეჟიმი

5-5,9

4-4,9

ავტორიტარული რეჟიმი

3-3,9

2-2,9


0-1,9

ინოვაციის გლობალური ინდექსი (The Global Innovation Index) გვიჩვენებს მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგს ინოვაციების განვითარების დონის მიხედვით. ინდექსს საერთაშორისო ბიზნესსკოლის INSEAD (საფრანგეთი) მეთოდით ანგარიშობენ. პირველი კვლევა 2007 წელს ჩატარდა და დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყანაში ინოვაციური განვითარების მაჩვენებელი ინდიკატორების ყველაზე სრულყოფილ კომპლექსს წარმოადგენს.

ინოვაციის გლობალური ინდექსი შედგენილია 80 სხვადასხვა მაჩვენებლით, რომლებიც დეტალურად ახასიათებს მსოფლიოს ქვეყნების ინოვაციურ განვითარებას. კვლევის ავტორების

მიაჩნიათ, რომ ეკონომიკის წარმატება დაკავშირებულია როგორც ინოვაციური პოტენციალის რაოდენობასთან, ისე მისი განხორციელების პირობებთან, ამიტომ ინდექსს ძირითადად მაჩვენებლების 2 ჯგუფის ჯამით ანგარიშობენ: 1. არსებული რესურსები და ინოვაციების განხორციელების პირობები (Innovation Input), რაც მოიცავს ინსტიტუტებს, ადამიანურ კაპიტალსა და კვლევებს, ინფრასტრუქტურას, შიდა ბაზრისა და ბიზნესის განვითარებას; 2. ინოვაციის განხორციელებისას მიღწეული პრაქტიკული შედეგები (Innovation Output), რომელშიც შედის: ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ცოდნის განვითარება, კრეატიული საქმიანობის შედეგები. ამრიგად, საერთო მაჩვენებელი არის თანაფარდობა ხარჯსა და ეფექტს შორის, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს ქვეყანაში ინოვაციების განვითარების ეფექტურობის ხელშეწყობა.


მსოფლიოს ქვეყნები ინოვაციის გლობალური ინდექსის მიხედვით



ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Economic Freedom of the World) არის ეკონომიკური თავისუფლების საზომი, რომელიც შედგენილია ამერიკის პოლიტიკის კვლევის წამყვანი ცენტრის Heritage Foundation-სა და ჟურნალ „The wall street Journal“-ის მიერ. აღნიშნული ინდექსი 1995 წლიდან დგინდება. „ეკონომიკური თავისუფლების“ მსოფლიო რეიტინგს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ინვესტიციების შემდგომი მოზიდვის კუთხით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ათ კრიტერიუმს ემყარება. ესენია: ბიზნესის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, სამთავრობო დანახარჯები, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება, საკუთრების უფლებები, კორუფციისგან თავისუფლება, შრომის თავისუფლება. „ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის“ შეფასებით, ქვეყნებს, რომლებიც ამ კრიტერიუმების დაჯამების შედეგად 80 და მეტ ქულას დააგროვებენ, „თავისუფალი ეკონომიკის“ სტატუსი ენიჭებათ. ქვეყნებს, რომლებიც დააგროვებენ 70-79,9 ქულას, ენიჭებათ „ძირითადად თავისუფალი“ ეკონომიკის სტატუსი. 60-დან 69,9 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა „ზომიერად თავისუფალია“. თუ ქულების რაოდენობა 60-ზე ნაკლებია, ქვეყნის ეკონომიკას „ძირითადად არათავისუფალის“ სტატუსი აქვს, 50 ქული ქვემოთ კი „დახურული“ ეკონომიკის სტატუსი მოქმედებს. ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო „ზომიერად თავისუფალი ქვეყნების“ კატეგორიამდე ჩამოქვეითდა.

ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით , 2014 წ.



ჯინის ინდექსი წარმოადგენს მონაცემების გაფანტულობის საზომს. ის შემოღებულ იქნა 1912 წელს იტალიელი სტატისტიკოსის კორადო ჯინის მიერ. ჯინის ინდექსი ზომავს უთანაბრობას მონაცემთა განაწილებაში. ინდექსის მნიშვნელობა 0 ნიშნავს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, ხოლო 1 – რომ უთანაბრობა მაქსიმალურია. ჯინის ინდექსი გამოიყენება მეცნიერების მრავალ დარგში, მათ შორის - სოციოლოგიაში, ეკოლოგიაში, ქიმიაში და სოფლის მეურნეობაში. ჯინის ინდექსი ყველაზე მეტად ცნობილია როგორც პოპულაციის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომი. ქვეყნებს შორის ამ ინდექსის მიხედვით ყველაზე ნაკლები უთანაბრობა შვედეთშია (0.23), ხოლო ყველაზე მეტი - ნამიბიაში (0.7). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანა არ შეფასებულა.

შემოსავლების ჯინის ინდექსი ქვეყნების მიხედვით (2009 წლის მონაცემები)

